საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12134/01
25/11/2021

12134-01-2-202111251512

შპს „კოლხურ მოცვს“
მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N170ა
ელ.ფოსტა: n.eradze@winerykhareba.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 5 ოქტომბრის N17873 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, „დაგეგმილი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია 15 კვ.მ ფართობზე სამელიორაციო სისტემის მოწყობასთან, ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილებას“. აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში, მე-4 გვერდზე წარმოდგენილ ცხრილში აღნიშნულია, რომ საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია 13 000 მ^2 ფართობზე, ხოლო დოკუმენტის მე-5 თავში მითითებულია 130 000 მ^2. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სამელიორაციო სისტემის მოწყობის ფართობი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, პროექტის ფარგლებში, მდინარე ჯუმიდან ზედაპირული წყლის ამოტუმბვა და რეზერვუარის შევსება განხორციელდება კვირაში ერთხელ 3.340 მ^3 ოდენობით (დღეში 1800 ტონა), წლიურად მაქსიმუმ 48 000 მ^3-ის ოდენობით, რაც არ შეესაბამება დოკუმენტში მოყვანილ ცხრილ N4-ში (მდ. ჯუმის საშუალო წლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილება წყალაღების კვეთში) მითითებულ ინფორმაციას მდ. ჯუმზე სარწყავად ასაღები წყლის რაოდენობის თაობაზე. აღნიშნული საჭიროებს განმარტებას ან/და დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი სიტუაციური რუკიდან დგინდება, რომ მდინარე ჯუმიდან წყალაღებისათვის განკუთვნილი მილსადენი ნაწილობრივ კვეთს სახელმწიფო ტყის ტერიტორიებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ასახულ უნდა იქნეს სკრინინგის განცხადებაში. დამატებით გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ტუმბოებიდან გამანაწილებელ ქსელამდე წყლის მიწოდებისათვის გამოსაყენებელი მილების პარამეტრები;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სარწყავ-გამანაწილებელი სისტემის ძირითადი ქსელის მოსაწყობად გამოყენებული

მილსადენების შესახებ. კერძოდ, რა ტიპის მილების გამოყენებაა დაგეგმილი, მათი განთავსების სქემა და ადგილმდებარეობა (მიწის ზედაპირზე თუ მიწის ქვეშ). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია მიწისქვეშა მილსადენის გაყვანა, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის სამუშაოებისას გამოყენებული ტექნიკის, თხრილის სიგრძის, სიღრმის, დიამეტრის, ნიადაგზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე